

# კინდინორმი / KINDINORM

---

- საერთაშორისო დასახელება (აქტიური ნივთიერება): comb. drug
  - კლინიკურ-ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ჰომეოპათიური საშუალებები
  - მწარმოებელი კომპანია: DHU
  - მწარმოებელი ქვეყანა: გერმანია
  - გამოშვების ფორმა: 10გ გრანულები შუშის ფლაკონებში
  - გაცემის რეჟიმი: III ჯგუფი (ურეცეპტოდ)
- 

## შემადგენლობა

10 გ (ზომა 5) გრანულები შეიცავს:

აქტიური ნივთიერებები:

Chamomilla D12 25 მგ

Kalium phosphoricum D6 25 მგ

Staphisagria D12 25 მგ

Valeriana D6 25 მგ

სხვა ინგრედიენტები (შემავსებლები): საქაროზა

## ჩვენებები

ქცევითი დარღვევები ბავშვებში და მოზრდილებში თანდართული ყურადღების კონცენტრაციის დარღვევით, მომატებული აღზნებადობით, მოუსვენრობით, ძილის დარღვევით, სწავლის უუნარიანობით, საერთო სისუსტით.

## მიღების წესები და დოზები

მოზრდილები და 12 წლის ზამოთ ასაკის ბავშვები: 5 გრანულა 1–3–ჯერ დღეში.

6 წლიდან – 11 წლამდე ასაკის ბავშვები: 3 გრანულა 1–3–ჯერ დღეში.

1 წლიდან – 5 წლამდე ასაკის ბავშვები: 2 გრანულა 1–3–ჯერ დღეში.

მიღების სიხშირე შეიძლება შემცირდეს მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ.

გრანულები მიიღება ჭამამდე 30 წუთით ადრე ან ჭამის მერე 30 წუთის შემდეგ (გრანულები უნდა გაიწოვოს პირის ღრუში). 3 წლამდე ასაკის ბავშვებში მიღების მოხერხებულობისთვის გრანულები შეიძლება გაიხსნას მცირე რაოდენობის წყალში (1 ჩაის კოვზი).

ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების მოქმედებაზე არასასრველ ზეგავლენას ახდენს ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს მოწევა და ზოგადი უარყოფითი ცხოვრების სტილიც.

## გვერდითი მოვლენები

არ არის ცნობილი პრეპარატის გვერდითი ეფექტების შესახებ. პრეპარატის მიღებისას თუ შეამჩნიეთ რომელიმე გვერდითი ეფექტი, მიმართეთ ექიმს.

შენიშვნა:

ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალების მიღებისას შესაძლებელია დაავადების

არსებული სიმპტომების გარდამავალი გამლიერება (პირველადი გაუარესება); ასეთ შემთხვევაში პრეპარატის მიღება უნდა შეწყვიტოთ და კონსულტაციისთვის მიმართეთ ექიმს.

### **უკუჩვენება**

გამოვლენილი ალერგიული რეაქციები (ჰიპერმგრძობელობა) პრეპარატის რომელიმე კომპონენტის მიმართ.

### **განსაკუთრებული მითითებები**

თუ ექიმმა გითხრათ, რომ თქვენს შვილს რომელიმე შაქრის აუტანლობა აქვს, კინდინორმის მიღების დაწყებამდე კონსულტაციისთვის მიმართეთ ექიმს.

1 წლამდე ასაკის ბავშვებმა პრეპარატის მიღების დაწყებამდე უნდა გაიარონ ექიმთან კონსულტაცია.

პრეპარატით მკურნალობის 8 კვირის შემდეგ გაუმჯობესების არქონის ან მდგობარეობის გაუარესების შემთხვევაში შეცვალეთ მკურნალობის ტაქტიკა.

შეიცავს საქაროზას.

### **ჭარბი დოზირება**

ჭარბი დოზირებისას ან პრეპარატის მიღების შეწყვეტისას მავნე ეფექტების განვითარების საშიშროება არ არსებობს.

### **სხვა წამლებთან ურთიერთქმედება**

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან ცნობილი არ არის. შეატყობინეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს თუ თქვენი ბავშვი იღებს სხვა სამკურნალო საშუალებებს.

### **შენახვის პირობები და ვადები**

ინახება 25°C ტემპერატურამდე, ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა:

5 წელი. ვარგისიანობის ვადის ამოწურვის თარიღი მითითებულია შეფუთვისა და ფლაკონზე. ამ თარიღის გასვლის შემდეგ პრეპარატს ნუ გამოიყენებთ.

### **აფთიაქში გაცემის წესი**

გაიცემა რეცეპტის გარეშე.